სკოლა მოიპოვება, ან ქალაქი, რომელიც სწავლა-განათლების აკანია; ან რა უშვით იმ გვარი სოფლების მცხოვრებთა, რომელთაც გზა-ტყევილი აქვსთ ახლოს ან რკინის გზა! ამათ ყოველ გვარი საშვალზეა ხელთ აქვთ, რომ შეიძინონ სწავლა-განათლება, თუ კი მისდამი წყურვილი მათში აღძრულია. მაგრამ რა შქანს იმ გვარი სოფლების მცხოვრებთა, რომელნიც მოკლებულნი არიან ყოველ ზემოხსენებულ საშუალებათ; არ უნახავთ სწავლის ნაწყობი, რის გამო არც ესმით უღაღესი სარგებლობა განათლებისა, რომელთა სულს და გულს არ იზიდავს სწავლის საქმე და გულ-გრილად შესტკერიან, როგორც სკოლის გახსნას, ისე მისს გაუხსნებლობას. მიუთხველს თვითონ უნდა ქაინდეს ნახული და ცოტათი მიანიც განცნობილი ეს სამეგრელოს კუთხე, რომელსაც ჯერად ხედა ორ-კლასიანი სამრევლო სკოლა რომ ჯეროვანად დააფასოს უადრესი სარგებლობა ამ სკოლისა, სახელდობრ ამ ადგილისათვის.—

აი ამიტომაც მოვიხსენე ნამდვილი გაერმოებანი კიწიასი, რომ გამოვხატო შემდეგი აზრი: ზემოხსენებული მიზეზებისა გამო, უმეტესი ნაწილი ამ საზოგადოებისა (მღაბია ხალხი), მოკლებული სწავლა განათლებასა, ჯერ-ჯერობით ნამდვილათ ვერ დააფასებს ამ კეთილ საქმეს და მით უმეტესად მისს მერმისს—შედევს. მაგრამ ადგილობრივი მკვიდრი კი, რომელთაც ესმითა ჯეროვანი მნიშვნელობა ამ სკოლისა, მათი დაქვეითებული მოამბეთა აღსადგენად, მუხლ-მოყრით ილოცვიდნენ ღმერთს იმათი კეთილდღეობითი და მრავალ-ჟამიერი ცხოვრებისათვის, ვისიც მეოხებით არის ამ გვარი წყალობა მათზედ მოელონებული; მაღლობას უნდა სწორადღენ ღმერთს, რომ გვყანან მმართველობის სათავეშიდ იმისთანა ღირსოვანი პირნი, რომელთაც წარმოდგენილი აქვთ მთელი სახელმწიფოს გაჭირვებანი და საშუალებებისა გვარად ეშველებიან მათ. დაახ, ასე უნდა მოიქცნენ შეგნებულნი პირნი ამ საზოგადოებისა და ყოველ ფრად ხელი მოუშართან, მათთვის მინიჭებული სკოლის საკეთილ-დღეობა და მერმისი წარმატებისათვის; ეს მათთვის ნორზი ბავშვი ისე აღზარდნ, გაამაგრონ, რომ შეიძლოს მისდამი მითვისებული ტვირთის ტარების შესრულება დაბოლოს უნდა მოვიხსენიოთ, სასახელიდ ამ კიწის საზოგადოებისა: ადგილობრივ მკვიდრთ, მიუხედავთ თავისი უკიდურესი მატერიალური მდგომარეობისა,

უფასოთ დაუთმეს ამ სკოლის ეზო-ფერმისსათვის თორმეტი ქტევა სახნავ-სათესი მიწა და ფულათათასი მანეთი სკოლის სამუდამო შენობისათვის. აგრეთვე უფასოდ დაუთმო ამ საზოგადოებამ სკოლის ოთხ-ოთახიანი სადგომი.

კიწის ორ-კლასიანი სამრევლო სკოლის მასწავლებლები ნიკოლოზ ბარაბაძე.



რ ა არს სიკვდილი?

ვის ვინილავთ, ანუ რას გავიგონებთ ქაქსა აღსასრულისა ჩვენისასა?

სიკვდილი არის განშორება სულისა ხვეულისაგან, ოდეს სული განეყოფის ხორცისაგან, სულს ავიწყდება საქაო და ისწრაფის მივებებად მეკვდრთადმი უხილავის სამყაროსა. სული და ხორცი არიან ორი საუკვარეფი მეკობრები, მიმავალი უკანასკნელ წერტილამდე, რომელზედაც ერთი მათგანი უნდა დარჩეს, ხოლო მეორე—შეუდგეს დიღსა და ხანგძლივსა მეზარობასა. ერთს მათგანს ენანება წასრული და მეორე კი ხედავს ბრწყინვალე მომავალსა. სიკვდილის დროს ზოგიერთნი ხდებიან დირსნი უფლის იესო ქრისტეს ხიფვისა. წმინდა გრიგორი (+604 წ.) შაშა რომისა მოვიკითხრობს თავის დეიფის ტარსიილას სიკვდილს ამ ნაიზად: „სასიკვდიანე სარეცეფელზე მწოდარე ტარსიილას განს ცხოვინე ნათესავები, რომ უცხობ წამოიძანა მომავკვავმა: გამეცხადეთ! იესო ქრისტე მოვადესო“. ამ სიტყვების შემდეგ მსწრაფელ განუტევა სულია. (სენქს. 2 თებერვ.) სულ ხორცის გაყრის დროს ზოგნი ხედევენ სული წმინდას. მაგალ. სანამ წმინდა ამბროსი მეფიოანელი განუტევებდა სულსა, მ.ზე ჩამოვიდა ცუცხლი, დაფარა სახე მისი და მთავიდა პირსა მისსა. ხილვა ესე იხილა ცხოვრების ადმწერელმა ამბროსი სავდინმა (397 წ.), წმინდა ვასილის ჭირს უფადაც იხილეს სული წმინდა, რომელიც ტრედის სახედ დადიოდა მამაკვავის

სხეულზე. (სვიანქსარ 3 თებერვლს) სუელ ხორ-
ცის განმორების შემდეგ. სუელ ეგებებან წმინ-
დანები, და ანგელოზები, რომელთაც ხედავს
სული ანუ პირის პირ ანუ მარჯვნივ მხრით.
მაგალ. წმინდა საბა გოტუვი (372 წ.) ეუბნებო-
და თავის მწვალებელთ, რომლებიც მას უპირ-
ებდნენ წყალში დადრჩობას:

მე ვხედავ მათ, ვისი ხილვაც თქვენ ვერ
ძალ გძთ. აი პირისპირ დგანან დიდებულნი
დვთისანი, რომელნიც მოსულან ჩემ წასაყვანადა
(Павр. жит. Сергия арх. Влад. стр. 108). სიკვდი-
ლის დროს ხედავს რა სული ადამიანის დიერ-
თსა, ანგელოზთა და წმინდათა, ზოგჯერ ქსმის
მას აგრეთვე ხმა ზეციურის გალობისა. წმინდა
გრიგორი პაპა რომისა მოგვითხრობს ერთ მის
თანამედროის კეთილ მსახურის კარდაცვალება-
ზე შემდეგს: „ოდეს უანდოვდებოდა ეპი სიკვ-
დილისა, ამა კეთილ მსახურმა ქრისტიანემ იწყო
გალობა ფსალმუნთა და სთხოვა თვისთა მეგობ-
ართაც, რათა მათაც ელოცათ. უცბათ სულთა
მბრძოლმა წამოიძახა: „დაჩუმიდით, დაჩუმიდით,
არ გესმისთ ანგელოზთა გალობა ცათაშინაო?
(სვიანქსარი 25 იანვარისა). ასეთი არის აღსა-
სრული მართალთა. რასაც ისინი ამ ქვეყნად
ელოცვიან, რისკენც ისინი მთელ მათ სიკაცუნ-
დში მათის აზრითა და გრძნობით მისწრაფ-
იან, მასვე ხედვენ აღსასრულის დღესაც. სუელ
სხვა არის სმენა და ხილვა ცოდვილთა. აი რას
მოგვითხრობს იგივე პაპა რომისა გრიგორი ერთ
ბერ-მონაზონის კარდაცვალებაზე: „ოდეს ბერთა
შეტყვეს მოახლოება აღსასრულისა ერთის მათი
თანა ძმისა, შეიკრიბნენ კარგეში მისა და
იწყეს ღოცვა მისთვის- მომაკვდავმა მორთო
უკრილი: „გამმორდით, გამეცაღეთ! ამა გვე-
დლისა შესაჭმელად ვარ მე გამზადებული, გარნა
შიშისა გამო თქვენისა ვერ ძალუქს მაგას შეჭ-
მად ჩემდა. უტყვევ მოსვლად და მიყოს, რაიცა
უნებს მასაც ცხადია, რომ ამა ბერმა დროსა
აღსასრულისა თვისისა იხილა ეშმაკი გველის
სახედ. ესმათ რა ბერთა ასეთი დადადება მოძ-
მისა, გუფს მოდგინეთ იწყეს ვედრება დვთი-
სადმი, რათა განემოწყეული იგი ეშმაკი და არ
მოეცა მამ იგი უნანელი. ღოცვა ძმათა იქმნა
შეუწარებულ დვთისაგან. ეშმაკი განემორა მო-

მაკვდავსა და ამ უკანასკნელმა იცოცხლა იმდენი,
რამოდენიც სჭარო იყო მონანებისათვის. (სვი-
ანქსარი 12 თებერ.).

ამ წიარად ესმა აღსასრულისა ჩვენისასა
ვისილავთ ჩვენ მკვიდრთა უხილავის ს-მყარო-
სათა, წმინდათა დვთისათა და ანგელოზთა, ანუ
სამინელთა ეშმაკთა. გავგონებთ ვალობასა
ანგელოზთასა, ანუ საზარო უკრილსა ეშმაკთა-
სა, სული მხილველი დვთისა სინარულით
მისწრაფის მისადმი, ხოლო სული მხილველი
ეშმაკისა არს დიდსა შიშსა და ძრწოვლასა შინა.
რით ან რა წიარად შეგვიძლია შევიწყოთ, რომ
შეუძსუბუქით ესეთი ტანჯვა ამ გვარ მომაკვდავთ
ესმა აღსასრულისა მათისასა? რა საშვალეობით
შეგვიძლია განდგენა მათგან ეშმაკისა? ამ გვარ
შემთხვევაში ჩვენ უნდა ვშველიდეთ სულთა
მბრძოლ მომაკვდავსა ჩვენის საკუთარი ღოც-
ვითა და აგრეთვე ვადვიებდეთ მის გულში
სურვილსა ღოცვისასა. მამაკვდავს თუმცა აქვს
სურვილი ღოცვისა, გარნა ენა და ბაგენი მისნი
არ ემორჩილებიან მას; შესსიერება უჩვენებდა
და სიტყვა ღოცვისა ვიწყებდა. სულთა მბრ-
ძოლს სურს გამოისახოს პირიჯვარი, გარნა
ვერ ძალ უძს მას მოძრობა ხელითა. ჩვენ უკი-
დურესად ვავანრებთ და ვასიამოვნებთ მომაკვ-
დავსა, უკეთუ მის გასაგონად წარმოვსთქვათ
ღოცვასა და დავაწერინებთ პირიჯვარსა. მოძ-
მის სიკვდილის დროს ჩვენ უნდა ვანთებდეთ
ხატთა წინ სანთელსა, ვიძლეოდეთ მოწყალება-
სა და გამოვითხოვდეთ დვთისაგან მისთვის შე-
წვედნასა. ღოცვა ჭირისუფალთა დიდ შედევათსა
აძლეეს მომაკვდავსა, სდვენის ეშმაკსა და არ
აბრკოლებს მას წარსადგენლად წინაშე მოწყ-
დისა დვთისა, ვლოცულობთ რა მომაკვდავისა
თვის, უნდა ვავსოვდეს, ძმანო, რომ ადრე თუ
გვიან გავწვევა ჩვენც ესაი სიკვდილისა. ამისთ-
ვის ხმირად ვილოცვიდეთ უფლისა მიმართ და
მიგმართავდეთ ყოვლად წმინდასა დედისა მაც-
ხოვრისა ჩვენისასა სასოსა და შესავედრებელსა
ყოველთა ქრისტიანეთასა.

მლ. მიხეილ ვაგაშელაძე.



შობა იესო ქრისტესი.

შობამან შენმან ქრისტე ღმერთო, აღმოუბრწყინვა სოფელსა ნათელი მეცნიერებისა, რამეთუ რომელნი ვარსკვლავსა მსახურებენ, ვარსკვლავისაგან ისწავეს თაყვანისცემა შენი, მზეო სიმათლისაო, რომელი აღმობრწყინდი მაღლით აღმოსავლით, უფალო, დიდება შენდა.

ქალწული დღეს არსებდ უზესთავსა შობს ჩვენთვის, და ქვეყანა ქვაბსა შეუხებელისა შესწირვენ, ანგელოსნი მწყემსთათანა დიდებისმეტყველებენ, ხოლო მოგენი ვარსკვლავისათანა მოგზაურობენ, რამეთუ ჩვენთვის იშვა ყრმა ახალი, პირველ საუკუნეთა ღმერთი.



ახალი ამბები და შენიშვნები.

გამოვიდა და დაურთგდა ბლადოჩინებს და წიგნის მაღაზიებს «მწყემსის» რედაქციისაგან გამოცემული კალენდარი 1897 წლის. ფასი თითო კალისა ერთი აბაზი. ამასთანავე გამოიცა იაფ ფასიანი კედლის ნახატებიანი კალენდარი, რომლის ფასი ერთი შაურია. ეს უკანასკნელი ძლიერ საჭიროა მათთვის, რომელთაც სერსთ, რომ ყოველთვის თვალწინ ქონდესთ დღესასწაულების დღეებო.

* *

დეკანოზი პეტრიაშვილის განსვენების დღეს მწირველი ბრძანდებოდა მათი მაფალ ყოვლად უსამდვდელოესობა საქართველოს ექსარხოსი ვლადიმირი სიონის ტაძარში. დიდი საზოგადოება დაესწრო წირვაზე და წესის აგების დროს, დიდი ცრემლთა ღვრა იყო. განსვენებული დასაფლავავს ავლბარში პეტრე ჰავდეს ეკლესიაში. ანდერძის გათავების შედეგ მამა არჩიანდრიტმა ლეონიდა მგრძნობიარე სიტუვა წარმოსთქვა და მვენჯრათ დაანასიათ განსვენებულის მოფაწუება. ამ მგრძნობიარე სიტუვამ მრავალ პატივისმცემელთ თვალზე ცრემლის ნაკადელი გააჩინა და ააქვითინა. ამ სიტუვას მკითხველი წაიკითხავს ამავე ნომერში.

* *

დეკემბრის 26, ქ. ქუთაისში განსნეს წიგნთსაკვაი და სამკითხველო განსვენებულის მფჯდელო მთავრის გაბრიელის სახელობაზე ბ. კ. ნიკოლაძის სახლში, საკრებულო ტაძრის ზემოთ, ივანოვის ქუჩაზე.



სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობაში სარწმუნოებასა და კეთილ- ზნეობაზე.

სიტყვა,

იბ. ს. აკიჩიანიძის.

თქველი განსვენებულის ფესკობოსის გაბრიელის მიერ

მღვიძარე იყვნით, მტკიცედ სდევით
სარწმუნოების ზედა, მხნე იყვნით
და განძლიერდით (ა ძორ. ივ. ივ. იდ).

ძმანო მართლ-მადიდებელნო ქრისტიანენო!

დღევანდელი ჩვენი ლოცვა და წირვის მოსმენა შევავსოთ მოკლე განზრახვითა იმ საგანზე და სწავლაზე, რომელსა გვაძლევს ჩვენ წმიდა მოციქული პავლე სიტყვათა ამით შინა. „მღვიძარე იყვნით, მტკიცედ სდევით სარწმუნოებასა ზედა, მხნე იყვნით, და განძლიერდით“.

რა არ.ს. პირველად, მღვიძარეთ ყოფნა? თუ ამის შეტყობა გინდა, წმრმოიდგინე, ძმანო მღვიძარეობის წინააღმდეგი მღვდმარეობა ესე იგი მძინარება. მძინარება ის არის, როდესაც კაცი წვეს უძრავად, არ ესმის, ზრ ხედავს, არ ლაპარაკობს, ერთი სიტყვით, არ ხმარობს არცა არცა ერთსა თვისსა ნიჰსა და ღონესა და დემსგავსება მკვიდრსა. წინააღმდეგ ამისა მღვიძარე კაცი ის არის, რომელიც მოძრაობს, შრომობს და ჯეროვანად ხმარობს ყოველთა თვისთა ხორკიელთა და სულიერთა ორღონითა, ერთი სიტყვით არის კაცი ცოცხალი და ცხოველი. გარნა შეიძლება მღვიძარეობა კაცმა იხმაროს როგორც კეთილი საქმისათვის, ეგრეთვე კუდი საქმისათვის; ხოლო წმიდა მოციქული პავლე ჩვენგან მოითხოვს მღვიძარეობას კეთილსა საქმესა შინა და უმეტესად ღვთის მსახურებასა და სჯულის

აღსრულებასა შინა: „მღვიძარე იყვნით, გვეტყვის იგი, „მტკიცედ სდევით სარწმუნოებასა შინა.“ ისე არსად არ არის კაცისათვის საჭირო და სასარგებლო მღვიძარეობა როგორათაც სარწმუნოებასა შინა. ესე იგი სჯულისა და ღვთის მსახურების აღსრულებასა შინა. როდესაც შენ მღვიძარე ხარ ძმანო, რას აკეთებ და რისთვის ხმარობ შენს ქუეას, შენს ღონეს, თვალს, ყურს, ხელს, ენას და სხვათა შენთა ორღონითა? პირველად მისთვის, რათა დაიფარო შენი თავი ყოველთა მვენებელთა შემთხვევათა და მოვლინებათაგან; მეორედ იმისთვის, რათა მოიპოვნო, ანუ შეიძინო, რაიცა არის სმჭირო შენისა სიცოცხლისათვის. მსგავსად ამისა სულიერსა ცხოვრებასაცა შინა მღვიძარეობა არის საჭირო პირველად მისთვის, რათა დაიფარო შენი სული და გული ყოველთა შენის სჯულისა სასოებისა და სარწმუნოების წინააღმდეგთა და მვენებელთა ჰაზრთა და შეგონებათაგან; მეორედ მისთვის, რათა შეიძინო და მოიპოვო ყოველი, რაიცა გააღვიძებს, გააცოცხლებს და განამტკიცებს შენსა სულიერსა ცხოვრებასა, ესე იგი სარწმუნოებასა და სასოებასა: „მღვიძარე იყვნით, მტკიცედ სდევით სარწმუნოებასა ზედა“.

როდესაც წმინდა მოციქული პავლე ამ სიტყვებს მოსწერდა კორინთელთა, მაშინ დიდი დევნა-ლეობა და ტანჯვა ჰქონდა ქრისტიანეთა ურწმუნოთა წარმართთაგან. ფრთად საჭირო იყო მათთვის მღვიძარეობა და სიმტკიცე სარწმუნოებასა შინა. ახლა, თუმცა ქრისტიანე არ ითმენს დევნასა და ტანჯვასა სარწმუნოებისა თვისისათვის, გარნა ახლაც დიდად საჭიროა მღვიძარეობა და სიმტკიცე სარწმუნოებასა შინა, ვინაიდან სჯულის წინააღმდეგნი ყოველთანი იყვნენ და ახლაც ამ ჩვენ დროს უმეტესად განძმარად-დენ. მაშასადამე თუ ქრისტიანე დაიძინა, მღვიძარე არ არის ის და ფრთხილათ არ იქცევა; ადვილად შთავარდება იგი განსაცდელსა შინა და მოაკლდება სარწმუნოებასა, ესე იგი, სულიერსა მისსა სიცოცხლესა, სულიერსა საუფჯესა.

„ხნე იყვნით და განძლიერდით“ იტყვის კიდევ მოციქული პავლე. მხნეობა მღვიძარეობაზე უმჯობესი და უდიდესი თვისება არის. მხნეობა არის ძალა და სიმტკიცე კაცის სულისა. მხნე კაცი ის აოის, რომელიც ყოველ საქმეს და შრომას ასრულებს ხალისიანათ და სასოებით, რომელსა საქმე არ მოეწყინება, რაც გინდა ძნელი იყოს, მტადრე არ



მოეწყინება კეთილი, სულიერი საქმე და ბოლომდე მიიყვანს თავის საქმეს. მხნეობა უმეტესად გამო- უჩნდება კაცს მაშინ, როდესაც იგი არ დალონდება, არამედ უმეტესად განძლიერდება ყოველს წინააღმ- დევს და დამპარკოლებელ შემთხვევაში, სადაც სუს- ტი და სულ მოკლე აღმიანი დალონდება და არ იტის რა ჰქვანას, იქ მხნე კაცი უმეტესად გაღონ- იერდება; იმას ყოველი წინააღმდეგი შემთხვევა თით- ქმას გააჯავრებს და ღონეს მოუმატებს, მხნე კაცი ყოველისა სამწუხარო შემთხვევისაგან და მადნებელისა მოვლინებისაგან გამოვა ძლევა შემოსილი; ას-ჯერ რომ დამიარცხოს და გაუფუძღვდეს მიწაც არ დალონ- დება, არამედ ხელახლა მიუბრუნდება თვისსა შრო- მასა და საქმეს და ბოლოს უთუოდ ერთხელ გაი- მარჯვებს. არა იმაოდ იტყვის მოცატელი: «მხნე იყვნით და განძლიერდით»: მხნეობა გააძლიერებს დაღმიანს. მხნე კაცი უბედურებასა შინა არ იქნება განლაღებული. ერთი სიტყვით მხნეობა არის უძვირ- ფასესი თვისობა ადამიანისა.

გარნა შეიძლება, რომ მხნეობაც ბოროტად იხმაროს კაცმან და კიდევ ვხედავთ. სამწუხაროდ, რომელ სოფლისა ამის და ცოცვისა მოყვარენი უდიდესსა მხნეობასა და ღონესა ხმარობენ მათთა საქმეთა შინა, ეიდრემდის ქრისტეს მოყვარენი და ღვთის მსახურნი, მაშინ როდესაც მხნეობა ისე არა- ვისთვის არ არის საჭირო, როგორც ქრისტეს მოყ- ვარე კაცისათვის. აღსრულება ქრისტეს მცნებათა მოითხოვს ჩვენგან დაუძინებელსა შრომასა და შეურ- ყველსა მხნეობასა. აქ კაცი ებრძვის და ჭიდაობს არათუ გარეგანთა წინააღმდეგთა შემთხვევათა და განსაცდელთა, რომელიც ადვილი არის, არამედ თვით თავის თავს უნდა ებრძოდეს და თავის სულს და გულს უნდა ეკიდებოდეს. წარმოიდგინე რა სიმხნე, რა ზომი მხნეობა და ღონე უნდა იხმარო, შენ ძმაო, მაშინ, როდესაც ხშირათ შეგნთხვევა ისეთი გარემოება, სადაც საკუთარი შენი სულის და გულის სურვილი უნდა დაიფიწყო და დათრგუნო; რაც გიამება ის უნდა მოიძულო, რაც არ გიამება ის შეიყვარო და აღასრულო, შენი ხაკუთარი ბუნე- ბა უნდა გამოსცვალო, დღე და ღამე შენ თავს უნდა ებრძოდე, ხშირად შენი თავი, ვითარცა მტერი, სდევნო და შეწიროვო! ამას ვერ გეტყვი, ვისაც არა აქვს დიდი და აღმატებული მხნეობა და სულგრძე- ლება. მიუ უმეტესად არის საჭირო კაცისათვის

სიმხნე, რომელ ზოგიერთი კაცი თუმცა კეთილი არის, კეთილი საქმე უყვარს და სურს, გარნა თუ სიმხნე არა აქვს, მისი კეთილობა უჭრი და უნაყოფო იქნება. იმას სურნ კეთილი საქმის ქნა, მაგრამ როდესაც დაიწყებს, პირველი დამპარკობა მას დააღონებს და გააჩერებს. ამისთვის იტყვის წინას- წარმეტყველი დავით: ღმერთო მოეც ძალი სიკე- თესა ჩემსა.

თუ ასე საჭირო არის დიდი მხნეობა, რა სახით შევიძინოთ იგი? პირველად ჩვენი ჰაზრი, ანუ კეუ უნდა დარწმუნდეს, მიხედეს და დიჯეროს რა დიდი და კარგი რამ არის მხნეობა? რა კი ჰაზრი იმაში განმტკიცდა, გულიცა, ანუ სურვილი კაცისა მიიქ- ცევა მისდამი, კაცი მოინდომებს, რომ შევიძინოს ის თვისება და, რა კი კაცმა რაიმე მტკიცეთ მოინდომა, ისურვა, უთუოდ მოიპოვოს მას, ღმერთიც, რა კი შეხედავს, რომ შენ გსურს მხნეობის შექნა სარწმუ- ნოებასა შინა, შეგვეწვეს თვისითა საიდუმლოთა მადლის მოქმედებითა. ამინ.



ს ი ბ შ ა ,

თქმული სიონის საკრებულო ტაძარში 20 გი- ორგობისთვის, დეკანოზი გრაგოლ პეტრიაშვილის დასაფლავებზე.

სარწმუნოებით, სასოებით, სიყვა- რულით და სიმშვიდით, სიწმინდით და მღვდლობისა ღირსებით, და კე- თილ-პატიოსნათა მსჯერებელი ღირ- სად ხსენებულთა ამისთვისა საუკუ- ნითა ღმერთი, რომელსაცა საუკუ- მსახურე, თვით იგი დააწყნეს სულსა შენსა ადგილსა ნათლისასა ბრწყინ- ვალეს, სადა მართლნი განსიყვენენ: და განსჯას მას ქრისტესსა, მიიღებ მიტკეპებას ცოცვათასა და დიდსა წვალობასა. (მღვდლის ანტიფიხი, ტრო- ბარი მეორე აღსავალის ბოლოს)

მშვიდობით, სამუდაბოთ მშვიდობით, ძვირფასო, კეთილო, ტკბილო, დარბასილო მამაო და ძმაო

გრიგოლ! დადუმდა ამიერიდამ შენი მოაღერსე და ტკბილათ მანუგეშებელი მოძღვრული ენა, დაუძღურდა სამულამათ მსხვერპლის შემწირველი ბეჯითი მარჯვენა შენი, მოესპო სიკაცხელ შენ გულს, რომელიც იყო აღვლილი დიდისა და პატარისადმი განუსაზღვრელი სიყვარულით, მოიკვეთინენ მარადის სიკეთეზე მაიალნი ფერხნი შენნი, მოეღო ბოლო შენ წუთიერ არსებას, რომელზედაც იყო დამყარებული შენი ოჯახის ბედნიერება, შენი მცირე წლოვანი შვილების აღზრდა, სახლობა და სიკეთის გზაზე დაყენება! სულ რამდენიმე წამი კიდევ, და უკანასკნელი ნუგეში შენი ოჯახისა და პატარისა მცემლანებისა, შენი გვამი-მიგვეფარება სამულამათ თვალთავან; შენ უსულო ხორცსაც, სულ მცირე ჟამის შემდეგ, გადაფარებს თავის სახარელ, ბნელ და ცივ საბანს ხარბი, უგულო და უგრძნო მიწა. აჰა, გაჭირილი სამარეც მზათ არის მიიღოს შენი გვამი, განხრწნას, დაარღვიოს, ნაერათ და მტრათ აქციოს იგი. დაღ, მოკლე ხანში შეირგებს და მოინდობს გაუმძღარი მიწა ამ შენ გვამს, რომელსაც ვაჭრევეთ მღულარე ცრემლებს, რომლის სიკვდილმა მწარეთ თავგაკენესა, გული გაგვიტეხა და წელში მოგვხარა ყველანი. მაგრამ, დეე იხაროს უსულო გვამზე ხარბმა მიწამა, დეე გულს ითქვას მტერმა მტვერზდას, სამაგიეროთ დიდხანია დათმობილი გაქვს შენ ჩვენს გულში. როგორც დაქვრივებულ შენ მეუღლეს და უღროთ დაობლებულ შვილებს, ისე მწუხარებით აღვსილ მეგობართ და ნაცნობთ მტკიცეთ გაქვს ამონქველელი გულის სიღრმეში შენი ყოველგვარი ზნეობრივი ღირსებით შემქული სახე, რომელსაც, გარწმუნებ ძმურათ, ვერ წარხოცს „არცა სიკვდილი, არცა ცხოვრება, არცა ესე სოფელი, არცა იგი სოფელი, არცა სიმაღლენი, არცა სიღრმენი, არცა სხვა დაბადებული“.

ყველამ გვით, რომ შენ არ იყავი ჩამომაველობით ბრწყინვალე დიდი და გმირაბით სახელგანთქმული გვარყულობისა, არც სამსახური ჰქვია იფართო და მაღალ ხარისხოვანი, არც აღჭურვილი ყოფილხარ უმაღლესი სწავლა-მეცნიერებით, მაშროითი აიხსნება, რომ ამ შენ ცხედარს გარს მოხვევიან და მწარეთ გლოვობენ ბრწყინვალე გვართა წარმომადგენელნიც, ხარისხოვანი მსახურნიც, სწავლულნიც და ნიჭიერებით წარჩინებულნიც? რა არის მიზეზი, რომ თავდასაც და გლახსაც, სახელოვან

მოხელესაც და უბრალო მოქალაქესაც, განსწავლულსაც და უსწავლულსაც ერთგვართ ჰსდის ცრემლი შენ კუბოს წინ, ერთ გვართ გტრიან და თანაბარი ღრმა მწუხარებით აღვსიან შენ დაკარგვის გამო?

რასაკვირველია ამ კითხვების განმარტება მოითხოვს შენი ცხოვრების და მოღვაწეობის დაწერილებით განხილვას, შენი ხასიათისა და მიმართულების გამოქვეყნებას, შენ რწმენათა და შეხედულობათა მართებულათ გარჩევას, მაგრამ რა საჭიროა ყველაფერი ესა, როდესაც ვიცით ვინც იყავ და რაც იყავ? რა საჭიროა ყველაფერი ესე, როდესაც ყველას თვალ წინ გვიდგა შენი ბრწყინვალე სურათი, როდესაც თვით ეკლესია, რომელსაც შენ აგრე თავდადებით და ერთგულებით ემსახურებოდი სიკვდილის ღღემდე, ცხოველათ, ნათლათ და ზედმიწევნით გვიხასიათებს შენ სულიერ არსებას, შენ მიმართულებას, შენ ღირსებას. სარწმუნოებით, სასოვებით, სიყვარულით და სიმშვიდით, სიწმინდით და მღვდელობისა ღირსებით და კეთილ-პატიოსნათ შროხოვრებით ღირსად ხსენებულოა, გუგუნება დღეს შენ ეკლესია. სარწმუნოება, სასოვება, სიყვარული, სიმშვიდე, სიწმინდე, მღვდელობისა ღირსებით და კეთილ-პატიოსნათ ცხოვრება-აი ის თვისებანი, რომლებმაც მოგვიოგეს შენ კეთილი სახელი, აი ის მხარენი შენი მოქმედებისა, რომლებთაც გაგხადეს შენ ყველასთვის ძვირფას და პატვისადებ გვამათ, აი ის გონებრივი და ზნეობრივი ღირსებანი, რომელთაც დაგმისახურეს წარჩინებულთა და დაბალთა, სწავლულთა და უმეცართა, შერიგულთა და თვისთა შორის წრეველი, მტკიცე და წარუბოცელი სიყვარული. ვგლოვობთ, ვტირით და ვწუხვართ ყველანი იმის გამო, რომ შენში დაეკარგეთ თანამომე, აღვსილი სარწმუნოებით, სასოვებით, სიყვარულით, სიმშვიდით, სიწმინდით, მღვდელობის ღირსებით და კეთილ-პატიოსნებით ცხოვრებითა, ჩენი ცრემლი შედგება შენი ღირსებისა, შენი სულის სიკეთისა და, მაშასადამე, ვერა რომელიმე ქება-დიდება, ვერა რომელიმე მკერმეტყველური შესხმა ვერ დაედრება მას. მწარეთ გვატირებ, ღირსად ხსენებულო, მაგრამ ამავე ტირილით მკერმეტყველურად გვმოძღვრავ და გვიჩვენებ, რომ ყველანი, მსგავსად შენისა, ვიყენეთ მიმდევარნი სარწმუნოებისა, სასოვებისა, სიყვარულისა სიმდაბლისა, სიწმინდისა და კეთილ-პატიოსნებითი

ცხოვრებისა. ამას გვასწავლიდი შენ სიკოცხლეში ცხოველი მაგალითით, ამასავე გვიქადაგებს, გვაძულებს და ანდერძათ გვეტოებს დღეს ეს შენი შავთა მოსილი კუბო.

მოვისმენთ რა გულსმოდგინეთ ამ შენ უკანასკნელ წმინდა დარიგებას, მუხლმოდრეკით გეთხოვებით, ყველა შენი თანამოქმედნი, მეგობარნი, ნაცნობნი და სულიერი შეილები ნუგეშდებულნი იმ ქეშმარიტებით, რომ «საუქუნეთა ღმერთი, რომელსაცა იგი შენ შმსახურე, თვით იგი დააწესებს სულსა შენსა ადგილსა ნათლისასა ბრწყინვალესსა, სადა მართალნი განისვენებენ, და განსჯასა მას ქრისტესსა, მიიღებ მიტევებასა ცოდვათასა და დიდსა წყალობასა».

ხოლო შენ რაღა გითხრა და რითი განუგეშო ძვირფასი გვირგვინის დამკარგველო ქერიოვო? რომელი სიტყვით მოუშურალო მდუღარე ცრემლები შენ პატარა და უმწეო ქალ-ვაჟთ? რომელი რჩევით და დარიგებით დავამშვიდო შენი გაუბედურებული ოჯახი? რითი დავამხნეო შენი პატარა შვილები და რა საშუალებით შევისუბუქო მეტად მწევი და გულგამტეხი მწუხარება? აი კითხვები, რომლებიც მიდუმებენ ენას, წარიტკებენ ჩემგან მამაკაცურ სიხმნეებს და მთლათ მასებენ უღრმესი მწუხარებით: მაშ ისევ იტრეთ, საბრალო დედა-შვილნო, ძვირფასი პატრონის დაკარგვა, მაგრამ გახსოვდეთ, რომ დაუვიწყარმა გრიგოლმა დაიშკვიდრა ნათელი წარუხოცელი და ნეტარება დაუსრულელებლი; აფრქვიეთ ცრემლი თქვენს დაობლების გამო, მაგრამ იცოდეთ, რომ არავის უხილავს მართალი დადგებული, არცა თესლი მისი მთხოველ პურისა (ფსალ. 56, 25; იგლოვეთ, იმწუხარეთ ისევ თქვენს ოჯახის გამამშვენებელის სიკვდილის გამო, ხოლოთ იცოდეთ, რომ სწორეთ ესლო გამართებთ მიუგდათ ყური ზეციურ სიყვარულს, რომელიც გაგაფანებთ: მე ვარ, ნუ შეშინდებით (იოან. 6, 20); დღეს ჰვარავთ ქვეყნიურ პატრონს, მაგრამ საშავიგოთ დღეიდამ მოიპოვებთ მეორე პატრონს, რომელიც არის მამა ობოლთა და მსაჯული ქერიეთა (ფსალ. 67, 5). ილოცეთ მუდამ საყვარელი მამისთვის, გიყვარდეთ ღმერთი და იგი გამოგზრდით თქვენ. ამინ!

არზიზანდრტი ლეონიდე.



მეწიურულებანი.

ჩვენ მივიღეთ ჟურნალში დასაბეკდათ შემდგომ წერილები ეკლესიის სასარგებლოდ მეწიურულებათა გამოსაცხადებლად:

1. მღვდლის პროხოვე იოსავასგან:

„მ. რ. უმორჩილესად გთხოვთ, რომ თქვენი ვახუთის საშუალებით გულითადი მადლობა გამოუცხადოთ როგორც მე აგრეთვე ჩემმა მრევლმა ქვემოთ აღნიშნულ პირთ, რომელთაც შემოსწირეს რწმუნებულს ჩემდამო ბიის მთავარ-ანგელოზის ეკლესიას სხვა და სხვა ნივთები. აი შემომწირველთა სია: ახალსენაქის მოვაკრე დიმიტრი თ. იოსავამ 1 ზარა, ღირებული 30 მან., დაბა შოპის ქალაქში მცხოვრებელმა კატო ჯიქიას ასულმა 1 დაფარნა, ღირებული 2 მ., ხობის მცხოვრებ. ანუსია იოსავას ასულმა 1 ლეთისმშობლის ხატი, ღირ. 3 მ., ნოჯი-ხევის მცხოვ. ფეფენა გერგაიას ასულმა 1 ლეთისმშობლის ხატი, ღირ. 1 მ. 20 კ., ისიოდორე იოსავამ 1 რკინის ლომი, ღირ. 5 მ., სოჩას ქალაქში მოვაკრემ ნიკოლოზ ალსანდრიამ წყვილი ბაიარალი, ღირ. 51 მ., და საქარწინე გვირგვინები ბრინჯაოსი, ღირ. 10 მ.; ივლიანე იოსავამ საცეცხლური ბრინჯაოსი, ღირ. 3 მ. 50 კ., ფებრონია იოსავას ასულმა ერთი ხელი დაფარნა ფარჩისა, ღირ. 3 მან. 50 კ., იოაკიმ იოსავამ ერთი უსუბი, ღირ. 6 აბაზ., ტფილისში მცხოვ. ნინო იოსავას ასულმა 1 ხელი დაფარნა და ამასთან მიხაილ-გაბრიელის ხატისთვის პერანგი ოქრომკვდით მოართული და 1 ტრამპეზედ გადასაფარებელი, ღირ. 30 მან.

2. ლახუნდარის ლეთის-მშობლის ეკ: მღვდლის პორფილე კავილაძისგან:

„მ. რ. უმორჩილესად გთხოვთ, რომ თქვენი პატივცემული გაზ. „მწყემის“ საშუალებით გულითადი მადლობა გამოუცხადოთ როგორც მე ისე ჩემმა მრევლმა ქვემო აღნიშნულ პირთ, რომელთაც შემოსწირეს ჩემდამო რწმუნებულ ეკლესიას საქირო ნივთები. აი შემწირველთა სია: სოფ. სალომინაოში მცხოვრებმა აზ. სიმონ გოდამბრილიძემ და ცოლმა მისმა მატა ერთთვის ასულმა ზარა, ღირ. 100 მან., ჩემმა მრევლთაგანმა აზ. ყაფლან და სფეფ ჩხიძეებმა

სამრეკლოს საბოძე მუხა, ღირ. 25 მ., სპირიდონ ავალიშვილი 1 საბოძე მუხა, ღირ. 10 მ., ჯიბო მაკუფარიანმა საბოძე მუხა, ღირ. 10 მან., ირაკლი კავილაძემ სვეტები ეკ. აიენისთვის, ღირ. 20 მან., ევატირინე ტაბატაძის ასულმა ხომლი, ღირებული 25 მანიად.

განხსნადგანი.

მიიღება ხელის-მოწერა 1897 წლისათვის ორ ამირაულ გამოსცემათა ქართულს

„მწყემს“-ზე

დ
რუსულ «ПАСТЫРЬ»-ზე

ქურნაღის ფასი:

- 12 თეთი «მწყემსი» 3 მ., 6 თეთი «მწყემსი» 2 მ.
- ,, ორივე გამოცემა 5 მ. — ,, ორივე გამოცემა 3 მ.
- ,, რუსული ,, 3 მ. — ,, რუსული ,, 2 მ.

3. მღვდლის ნესტორ ცხაკაიასაგან;

«მ. რ. უმოპრილდესად გთხოვთ, რომ თქვენი პატივცემული «მწყემსის» საშუალებით გულითადი მადლობა გამოუცხადოთ ქვემო აღნიშნულ პირთ, რომელთაც ჩემი თხოვნით საქირო ნივთები შემოსწირეს ჩემდამო რწმუნებულს ფშავის მუქოს ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიას. იი შემომწირველთა სია: თბილისში მცხოვრებმა პოლკავნიკის ჯერიგმა მარია ნიკ. ასულმა დობაჩევსკისამ ერთი ხელი დაფარნა, ღირ. 15 მ., იმანვე ბარძიმზე სახმარებლათ აბრეშუმის ბაღდადი, ღირ. 3 მ., და 1 ხატი ივერიის ღვთისმშობლისა, ძველის ხელოვნებისა (ფასი არ იცის, რადგანაც მამა-პაპის ნაქონი ყოფილა); ჩემმა მრევლთაგანმა მარიამ გოგენლაშვილის ძეგრიგმა პურის საკურთხებელი ქუჩუქელი თავის მოწყობილობით და 1 ხელის სამ სანთლიანი შანდალი, ორივე ღირ. 11 მ., იმანვე—ფარდავი ტრაპეზის წინ გასაშლელი, ღირ. 5 მ., მთელმა გვარეულობით წოწკურაულებმა შემოსწირეს ღვთისმშობლის მიძინების ხატი, ღირ. 10 მ. 15 კ., გიორგი გახუტელაშვილმა და ხუმბარა წოწკურაულმა ვერცხლის კოვში თევშით მოაქურთი, ბრინჯაოს სასვეისკვეთ თევში და ხელსაიანი თითბრის ტაშტი, ღირ. სულ 15 მ. 30 კ., დარიჯან ქისტაურის ძეგრიგმა ტრაპეზზედ დასადგმელი სანაწილე და ღობეზარი, ღირ. 11 მ., ღიჯურ მათურელმა საიდუმლო სერობის წინ საკიდი კანდელი, ღირ. 15 მ., ხარება სახონიშვილის ცოლმანანა ქრელაშვილის ასულმა ტრაპეზის ზემოდან ჩასაკმელი ფარჩისა, ღირ. 12 მ., და 25 კ., როსტო წოწკურაული აფლათ 1 მ., და მთელმა წოწკურაულემა 4 მ. და 69 კ. ვარდა ღვთისმშობლის ხატისა სულ 104 მ. და 39 კ.

მიზანი და დანიშნულება გავთვისა: 1) შეფატობინოს სამღვდლო და საერო წოდებას შესანიშნავი განკარგულება და მოქმედება უმაღლესთა სასულიერო და საერო მართებლობათა, კონსისტორიათა და მღვდელ-მთავართა; 2) გაავრცელოს ქართულ სასულიერო წოდებებში და ხალხში სალიტერატურო სწავლა და ცოდნა საეკლესიო და საზოგადოებრივი ცხოვრების კითხვათა შესახებ; 3) გაავრცელოს საქართველოს სამღვდლო და საერო წოდებაში სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივი კეთილ ზნეობისა და სარწმუნოებისა (და 4) აუხსნას და გაუმარტოს სამღვდლო და საეკლესიო მოსამახებურ პირთა ზოგიერთი საქურო კითხვები, რომელთა ცოდნა მიუციოვებელ მკითხველს შეადარებს მათთვის მტკიცდ მათი მოვალეობის აღსრულებისაგან.

მიზანი და დანიშნულება რუსული გამოცემისა ზემოხსენებულის პროგრამის აღსრულების გარდა არის—1) შეფატობინოს რუსეთის სასულიერო და საერო წოდებას შინაარსი შესანიშნავ და საინტერესო «მწყემს»-ში დაბეჭდილ სტატიებისა; 2) გააცნოს რუსეთის სასულიერო და საერო წოდებას საქართველო, ეს დაზარებულ კეთნე რუსეთის იმპერიასა და საქართველოს სასულიერო და საერო წოდება ქართული გამოცემის საშუალებით გააცნოს რუსეთის სასულიერო მწერლობას და ხალხის ცხოვრებას.

მაზეთვე ხელის-მოწერა შეიძლება როგორც ვერიადაში, აგრეთვე ქუთაისშიაც. თბილისში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, ბ. შიო ქუთუაშვილთან. ფოთში—დეკანოზ მ. გრიგოლ მაჭარაოვთან; გორში—სასულ. სასწავლებლის მასწავლებელ ილია ი. ფერაძესთან; სანჯერში— მ. ყარაღან ჩეჩეძესთან; ახალციხეში—დეკანოზ ბ. ხაბუაოვთან. ახალციხეში—სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელ სპარდონ ან. მაჭარაძესთან.



მიადება ხელის-მ. კნა 1897 წლისათვის თეატრ
საემსწავლო სურათებისან ყურნალ

„ჩ მ ჩ ი ლ ზ მ“

წელიწადში გამოვა სულ 12 წიგნი, და თითო წიგნში იქნება ოთხიღამ-ხუთამდე ნაბეჭდი თაბანი, ანუ 64—80-დე გვერდი ღილის ფორმატისა.

«ჯეჯილში» დაიბეჭდება: მოთხრობანი, ლექსები, ზღაპრები, მოგზაურობის და შესანიშნავ-კაცთა ცხოვრების აღწერა, პოემები, მოკლე ამბები, სამეცნიერო წერილები, სავაჭრო სათამაშოანი და სავარჯიშოანი, სამათემატიკო ამოცანები, იგუებები, ანდაზები, გამოცანები, ნარკვევები, რებუსები და სიმღერები ნოტებით.

ქურნალში მონაწილეობის მიღება აღგიეთქვეს ყველა ჩვენმა საუკეთესო მწერლებმა.

ქურნალი «ჯეჯილში» თბილისში დატარებით ეღირება—4 მანეთი, თბილის გარეშე გავაზენით 5 მან. ცალკე ნომრის ფასი თფილისში არის 50 კაპ. ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარწლით.

ხელის მოწერა მიიღება:

1. თბილისში — «წერა-კითხვის საზოგადოების» კანცელარიაში (Дворцовая ул., д. земель. банка № 102), ქართულ სახალხო საემკათხელოში (д. зем. банка № 32), და თვით «ჯეჯილის» ოცდაქალაქში (Артиллер. ул. д. Тамашева, взлѣт. кадѣтскаго корпуса).
2. მთუასში — ე.ს. ბენევიშვილთან და თომა მთავარიშვილთან
3. ბორში — არ. კალანდელიძესთან.
4. ბათუმში — მ. ნიკოლაძის სააგენტოში.
5. თელავში — მ. ცისკარაშვილის აფთიაქში.
6. საჩხერეში — ყარაშინ ჩხეიძესთან.
7. მალსაბეგბოლში — ა. შაქაბერიძესთან.
8. მთიანეთში — ივ. ჩიხალიშვილთან.
9. ქუთაისში — არაბიძის წიგნის მაღაზიაში.
10. მიხალაოვში — ი. ფანცულაიასთან.

ფოსტის ადრესი: вь Тифлиси, вь редакцію груз. дѣтскаго жур. «Джеджили».

ტელეგრაფი-გამოგეტქელი ან. თ. წარტოდასია.

საქმეწიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი

„ბეპალი“

გამოვა 1897 წლიდან ყოველ კვირაში ერთხელ ერთიღან სამ თაბანამდის.

რედაქცია ყოველ ღონისძიებას ხმარობს გააუმჯობესოს შინაარსი და სახე გაზეთისა. ამ განზრახვით მან დაიბარა პეტერბურგიდან შრავალი საუკეთესო ცნეხე და სახილენძე მოჭრილი მხატვრობა.

წლიურად ეღირება გაუზავენოლად შეიღი მანეთი, ხოლო გავაზენით 8 მან. ნახევარის წლისა გაუზავენოლად სამი მან. და ათი შაური, გავაზენით ოთხი მანეთი; სამი თვისა გაუზავენოლად ორი მან. გავაზენით 2 მან. 50 კ. თითო ნომერი საქაშურათ. ხელისმომწერლებს წლის ფული შეუქლიათ გამოკაზავენონ ნაწილწაწლით.

ხელის მოწერა მიიღება:

ტფილისში არწუნისეულ ქარესლის «ქართულ სახალხო საემკათხელოში» და «წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში» და თვით «კვალის» და «ჯეჯილის» ოცდაქალაქში (Артиллер. ул. д. Тамашева, взлѣт. кадѣтскаго корпуса).

ქალაქს გარეშე ხელის მოწერათა შეუძლიათ მიმართონ: მთუასში: ე. კვიციანი, ვ. ბენევიშვილის, ხეთერლის წიგნის მაღაზიებში და ბ. ლალიძესთან ზელტერის წყლის ქარხანაში. ბათუმში: მათე ნიკოლაძის ქურნალ-გაზეთის სააგენტოში. განჯაში: აღ. ბიჭვინთის. — შოთში: მიხეილ თურქიას და ი. კობრიძეს. — მიხალაოვში: ოსიგე ფანცულაიას. თბილისში: ივ. ჩიხალიშვილს. — გორში: არ. კალანდელიძეს. — მერილაში: არაბიძის წიგნის მაღაზიაში. — საჩხერეში: ყარ. ჩხეიძეს.

საფოსტო ადრესი: Тифлиси, Редакция «БВАЛИ».

ყველა ყვენი ქურნალ-გაზეთები ახალ წლისათვის ხელის მოწერის წინეთ ჰპირდებიან გამოცემის გაუმჯობესობას ვარგენივ და შინაარსით, ზოგი კი საჩუქრსაც (პრემიას) აღუთქვამს, მაგრამ ზოგჯერ თავიანთ ხელთ არ არის მისი ასრულება სხვა და სხვა მიზეზების გამო. ჩვენ ეუწყებთ «კვალის» მკითხველებს, რომ რედაქციას მართალია წრეულს დაუვიციანდება პრემიის დარიცება, მაგრამ ყოველ ღონისძიებას იხმარს პირ ნათლათ გამოვიდეს ხელის მომწერლებთა წინაშე.



გაზეთ «კვალის» პროგრამის გაფართოვებაზე უკვე დარტულია ნება და ამით გაზეთის უფლება და საშუალება მიეცა, სრული ყოველ დღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთის მგზავნათ, მსჯელობა იქონიოს როგორც რუსეთისა და საზღვარგარეთის ცხოვრებისა და პოლიტიკის შესახებ, აგრეთვე ჩენი ცხოვრების დღიური საქართველოთა ვარაზებდაც.

წელსაც ყველა თანამშრომლებმა აღგვიტყვეს თავისი კალმის ნაწარმოებები მოწოდება, რაც შეეხება გარეგნე გაუმჯობესებას, რედაქცია ღონისძიებისამებრ აქცევს ყურადღებას: ჩენ ვიბარებთ კლიშეებს ყოველთვის ღონიდან, პეტერბურგიდან და ახლაც დაბარებული გეძებს შტუტგარდიდან, ხოლო თბილისში შეუქმლებელი ხერხიანი ნახატების საბეჭდად, რადგან ჩენი ცხოვრების მკოდნე მხატვრები თითქმის არა გეყავს და ლიტერატურაჟიასაც ხშირათ უფუქდება სტრათები.

ვისაც წლიური ფასის ერთად შემოტანა ენდებება, შეუძლიან შემოიტანოს: 1 იანვრამდე 4 მან. 1 აპრილამდე 3 მან. და 1 სექტემბრამდე — 3 მან.

ხელის მოწერა მიიღება თბილისში, ყურნალ «მოამბის» რედაქციაში, რომელიც იყოფება ღორთმელიქოვის ქუჩაზე № 13.

სოფლის მღვდლებს, სოფლის მასწავლებლებს, ხელოსნებს და მოწაფეებს ყურნალი დაეთობა რე მანეთად წელიწადში. ვისაც რე მანეთის ერთად შემოტანა ენდებება, შეუძლიან პირველში ოთხი მ. შემოატანოს და ორორი მანეთიც მასში და აგისტოში.

რადგან იანვრის ნომერი გამოვა 1-ლ იანვრს, რედაქცია უმარჩილესად სთხოვს ყურნალის გამოწერის მსურველთ დიქემერზეც დიკეთონ, რათა რედაქციამ მოასწროს ღონედ ნომრების გაგზავნა.

ქალაქ გარეთ მცხოვრებთათვის ადრესი: ВѢ Тифлисъ. ВѢ редакцiю грузинскаго журнала «МОАМБѢ».

მიმავალ 1897 წ. კვალის ხელის მომწერლებს დაურეკდებთ ზრეძიანთ ისტორიული ზაბნომი (სურათები ჩვენნი გამომხენილი შეფუებისა, ისტორიულ ზირთა, ძველი მონასტრებისა და ცისეების, აღწერილთ).

„იპმრია“

გამოვა 1897 წელსაც

იმავე პროგრამით, როგორც წინათ.

გამოვა მხოლოდ 17 იანვრიდან, ყოველ-დღე. გარდა ამ დღეებისა, რომელიც ზედ მოსდევს კერ აუქმებს.

მიიღება ხელის მოწერა 1897 წლისათვის

ყოველ თვიურ ქართულ ყურნალ

მოამბე“-ს და

(17 წ.)

შანი შუანლისა გაგზავნით

კავკასიისა და რუეთის ქალაქებში:

1 წლით 10 მან.	1 წლით . . . 13 მან.
6 თვით 6 »	6 თვით . . . 7 »
3 თვით 4 »	3 თვით . . . 5 »

საზღვარ გარეთ:

შ ა ს ი:	
11 თვით 9 მ. 60 კ.	6 » 6 მ. » კ.
11 » 9 » 50 »	5 » 5 » 50
10 » 8 » 75 »	4 » 4 » 75
9 » 8 » — »	3 » 3 » 50
8 » 7 » 25 »	2 » 2 » 75
7 » 6 » 50 »	1 » 1 » 50

საზღვარ-გარეთ დაბარებული 1898 წლის 1 იანვრამდე ცლიება 17 მ.

თბილისს გარეთ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდგენს ადრესით:

Тифлисъ. ВѢ Редакцiю газеты „ИВЕРIЯ“ თფილისში ხელის მოწერა მიიღება «ივერიის» რე-

დაქვაში, ნიკოლოზის ქუჩა № 21. „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელთა საზოგადოების“ კანცელარიაში, სახსარის ქუჩა, ქართველთა თვალაზრითა ქარვასლაში.

თუ ტფილისში დაბარებული გავითი ტფილისის გარეშე აღრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; ხოლო თუ ქალაქ გარეთიდან სხვა ადგილს გადავიდა საღმრთო, ქალაქ გარეშე უნდა წარმოგზავნოს 40 კაპ.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმემ გავითი არა მთელის წლით, მას გავგზავნება გიზეთი პირველ იმ თვიდან, რომელსაც დამარბებული აღნიშნავს.

1896 წლის სელის-მომწერთა სავურაღდეგობა.

ვისაც გავითი დაბარებული ჰქონდა 1893 წელს მთელის წლით, თუ ჰსურთ 1898 წლის პირველ იანვრამდე მიიღონ გავითი, უნდა წარმოადგინონ ოთხი თვის ფასი—3 მ. და 33 კაპ. (კაპიუკების მაგიერ შეიძლება ფოსტის მარკები გამოიგზავნოს). ხოლო ვისაც არა ჰსურს იმას მიუთხა გავითი შეიღის თვისა და ცამეტის დღის განმავლობაში 17 იანვრიდან.

ვისაც 1896 წელში დაბარებული ჰქონდა გავითი რამდენსამე თვით, იმათ შეუძრულდებათ დანაკლისი ნორმები 17 იანვრიდან. 3—1

სარედაქციო მუშაობა 15 დეკემბრიდან დაიწყება

ისეიდება

საქველმოქმედად

თბმბრ-მეფის

და

**ჟოთა რუსთაველის
სახსიანი**

ფელსტიის ქაღალდი

თბილისის და ქუთაისის ქართულ წიგნის
ძალაზეებში

ფურცელი თითო პაკეტიკად.

მოგებელი თანხიდან ნახევარი შეეწირება ზეპირ-სიტყვარების ფონდს და ნახევარიც მოხმარდება იაფფასიან და მუქთად დასარიკებელ სხხლზსო წიგნა-ქაპის გამოცემას.

მსურველთა შეუძლიათ მოიკითხონ «გვალის» რედაქციაში, ან დაიბარონ ფოსტით დ. ყვირი-ლიდამ მისხიელ ბარამაძისსაგან.

მოკლეს სანში გამოცვა სხვა მოვლენების სა-სიანი ქაღალდიც.

ამრო სავათმყოფო ავაზულაბორიითუთ

ს. ბ. თოფურიასი

ქ. ქუთაისში.

სავათმყოფოში დგას ორმოცი საწოლი ხირურგიულ, გინეკოლოგიურ და შინაგან სენით ავათმყოფთათვის. მუწუკებიანი და გადამდები სენით ავათმყოფნი არ მიიღებიან. მოსიარულე ავათმყოფნი მიიღებიან ყოველ დღე 11 საათიდან შუადღის 3 საათამდე.

შინაგან და ნერვებით ავათმყოფებს მიიღებს

მმ. ს. ბ. თოფურიასი.

ხირურგიულ მარდით და სიფილისით

მმ. ფ. კ. ზამრახტი.

დღეღაცესურ ავათმყოფთა და სხხებიოს ქალი

მმ. მ. ფ. კახანი.

თვალების ავათმყოფისათვის

მმ. ი. კ. ზარზაშვი.

რჩევა დარბების ფასი 50 კ., კონსი-ლიუპის ფასი 3 მ. დღე და ღამე ქირა სა-ავათმყოფოში სრული სარჯით და ექიმობით 2—3 მანეთამდე. აზგრავციის ფასი გარბება-სეა. (10—6)

სამკურნალოს დირექტორი ს. ბ. თოფურიასი.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. დ. დამაშვიძე.

Редактор-Издатель П. Д. Гамбашидзе.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 24 декабря 1896 г. ♦ Цензуръ прот. Е. Елѣевъ.

Типог. редакцїи журн. „Пастырѣ“ (П. Д. Гамбашидзе) въ Кутаисѣ, въ д. бр. Ханановыхъ, на Нѣмецкой ул.

